



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 ნოემბერი 2023



N 645/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. მარაბდაში, შპს „თი ეს გრუპის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „თი ეს გრუპის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 8 ივნისს (წერილი N5229) წარმოდგენილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. მარაბდაში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანებები N273/ს; 16/06/2023 და N450/ს; 08/09/2023) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრის“ მიერ.

2020 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შპს „თი ეს გრუპის“ ცემენტის წარმოებაზე (ცემენტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-690).

2022 წელს შპს „თი ეს გრუპის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. მარაბდაში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N61/ბრძანება N403/ს; 13.10.2022).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/6528), შპს „თი ეს გრუპის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N8414). კერძოდ: დაზუსტდა ანგარის ტიპის ნაგებობის ფართობი, უახლოეს შენობა-ნაგებობამდე მანძილი, უწყვეტი თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 აგვისტოს N2-690 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, საწარმოში წილის გამოყენების საკითხი. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ცენტრის მიერ

განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2022 წლის 23 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით, განხორციელდა შპს „თი ეს გრუპის“ კუთვნილი ცემენტის წარმოების საამქროს ინსპექტირება, რომლის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე შპს „თი ეს გრუპის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები, რომლებიც გადაგზავნილ იქნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში. მათ შორის დადგინდა, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით გათვალისწინებული ერთი ცემენტის საფუკვაკი წისქვილის გარდა დამონტაჟებულია დამატებით ერთი, 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული საწარმო მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. მარაბდაში, შპს „თი ეს გრუპის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 84.24.31.000.135). ტერიტორიას ოთხივე მხრიდან ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. საწარმოს ტერიტორიის მიწის ნაკვეთის GPS კოორდინატებია: 1) X-481073, Y-4597452; 2) X-481070, Y-4597441; 3) X-481156, Y-4597282; 4) X-481062, Y-4597230; 5) X-480960, Y-4597416; 6) X-481050, Y-4597457. საწარმოს ტერიტორიის სამხრეთით მდებარე უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია დაახლოებით 600 მ (ს/კ 84.07.33.057.016), ხოლო ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 800 მეტრში (ს/კ 84.07.31.034.009). საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 640 მეტრში განთავსებულია შპს „აშენდი ჯგუფის“ მელორეობის ფერმა და სასაკლაო, 500 მეტრში მდებარეობს ფიზიკური პირი ირაკლი მოისწრაფიშვილის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი (ს/კ 84.24.31.000.123), რომელზეც მოწყობილია სასათბურე მეურნეობა, ხოლო დაახლოებით 52 მეტრში - ფიზიკური პირი ლაშა სიკიაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 84.24.31.000.189), მასზე განთავსებული ცხოველთა სადგომით, რომელიც უშუალოდ წისქვილების განთავსების ადგილიდან დაშორებულია 130 მეტრით. საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს თანასაკუთრებაში არსებული სამეურნეო ნაგებობები და სსიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 84.24.31.000.162) განთავსებული ცხრა ძმა ხერხეულიძის მონუმენტი. საპროექტო ტერიტორიიდან პირდაპირი მანძილი ფონიჭალა-მარნეული-გეგუთის საავტომობილო გზამდე შეადგენს 240 მეტრს.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია არაქმედებისა და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა წარმოებული პროდუქციის საჭიროებისა და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ახალი წისქვილის განთავსებისთვის უპირატესობა მიენიჭა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. მარაბდაში, შპს „თი ეს გრუპის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 84.24.31.000.135). შერჩეულ საწარმოს ტერიტორიაზე უკვე არსებობს საწარმოო და კომუნალური ინფრასტრუქტურა. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის მეორე ალტერნატივად განხილულ იქნა ქ. მარნეულის ტერიტორიაზე არსებული ფიზიკური პირის საკუთრებაში მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი (ს/კ: 83.02.12.162). მეორე ალტერნატივა უარყოფილ იქნა შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბის, ახალი ტერიტორიის ათვისების, ასევე, დამატებით ახალი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროების, უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის და კერძო საკუთრების გამოსყიდვის საჭიროების გათვალისწინებით.

შპს „თი ეს გრუპის“ საქმიანობა ამჟამად მოიცავს 10 ტ/სთ წარმადობის მქონე წისქვილში სხვადასხვა მარკის მქონე ცემენტის (მ-300, მ-400 და მ-500) წარმოებას. წელიწადში 66000 ტ ცემენტის წარმოებისათვის გამოიყენება 52800 ტონა კლინკერი, 3300 ტონა თაბამირი და 9900 ტონა დანამატები. საწარმო მუშაობს

წელიწადში 330 დღე, დღეში 20 საათი. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, დაგეგმილი იყო 8 ცალი 200 ტონიანი (ჯამურად 1600 ტ) სილოსის მოწყობა, საიდანაც ამჟამად მოწყობილია 4 ცალი 200 ტონიანი სილოსი (ჯამურად 800 ტ). დღეისთვის საწარმოში განთავსებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: საწარმოსთვის განკუთვნილი ანგარის ტიპის ძირითადი შენობა, რომელიც აღჭურვილია საწარმოო დანადგარებით, ნედლეულის და პროდუქციის განთავსების უბნებით; სასწორი; საოფისე ადმინისტრაციული შენობა; ცემენტის 4 ცალი 200 ტონიანი სილოსი; პროდუქციის დაფასოების გადახურული ნაგებობა შესაფუთი დანადგარით; სატრანსფორმატორო, შესაბამისი ტრანსფორმატორით; სატრანსპორტო საშუალებების სადგომი; საკონტროლო გამშვები პუნქტი.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია ერთი 10 ტ/სთ წარმადობის მქონე წისქვილის, ასევე ორი 500 ტონიანი (ჯამში 1000 ტ) და ერთი 120 ტონიანი სილოსის დამატება. შესაბამისად, საწარმოს წარმადობის ზრდის გათვალისწინებით წლის განმავლობაში 66000 ტონის ნაცვლად მოხდება 132000 ტონა ცემენტის წარმოება, რისთვისაც საჭირო იქნება 105600 ტონა კლინკერის, 6600 ტონა თაბაშირის და 19800 ტონა დანამატის გამოყენება. აღნიშნული ნედლეულის საწარმოში შემოტანა განხორციელდება ავტოტრანსპორტის მეშვეობით. ადგილობრივი ბაზრის ნედლეულის გარდა შესაძლოა გამოყენებული იქნეს იმპორტირებული პროდუქციაც. მათი განთავსება მოხდება ანგარის ტიპის საწარმოო გადახურულ შენობაში, საიდანაც მიეწოდება წისქვილის მიმღებ ბუნკერებს.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს საწარმოო ტერიტორიაზე ნედლეულის შეტანა-დასაწყობებას, წისქვილებისთვის მიწოდებას და დაფქვას. დაფქული ცემენტი წისქვილების შემდეგ გადადის სამტვერე საკანში, საიდანაც მტვრის დაჭერა მოხდება ციკლონის და სახელოიანი ფილტრების საშუალებით. სამტვერე საკნიდან ცემენტი გადადის ელევატორში, სადაც ემატება მტვერდამჭერ სისტემებში დაჭერილი ცემენტი და საბოლოოდ თავსდება ცემენტის სილოსებში. როგორც უკვე აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია - დაგეგმილი ოთხი სილოსის ნაცვლად, სამი (500, 500 და 120 ტონის ტევადობის) სილოსის მონტაჟი, რის შედეგადაც საწარმოში იქნება სულ 7 სილოსი, ჯამური ტევადობით - 1920 ტონა. თითოეულ სილოსზე დამონტაჟებული იქნება აირგამწმენდი სისტემა, სახელოებიანი ფილტრი. ტომრებში დაფასოებული პროდუქცია რეალიზაციამდე დასაწყობდება გადახურული საწარმოო შენობის ტერიტორიაზე, ხოლო ნაყარი სახის პროდუქციას გაცემა მოხდება სილოსებიდან ცემენტმზიდებში. საწარმოდან ცემენტის გაცემა ხდება როგორც ნაყარის, ასევე 10 კგ-დან 50 კგ-მდე ტომრებში დაფასოებული სახით. რეალიზაციამდე საწარმო ყოველდღიურად აწარმოებს ცემენტის ხარისხის ლაბორატორიულ კონტროლს.

ცემენტის საწარმო განთავსებულია ცენტრალური ფონიჭალა-მარნეული-გეგუთის საავტომობილო გზიდან 250 მეტრში, საიდანაც ტერიტორიამდე მიდის მოსწორებული, მოხრეშილი გზა. გზში-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ნედლეულის შემოტანა და მზა პროდუქციის გატანა მოხდება დღის საათებში, მარაგადახურული ავტოთვითმცლელებით. დღის განმავლობაში გათვალისწინებულია დაახლოებით 20-24 სატრანსპორტო რეისის განხორციელება, აქედან 10-12 სატრანსპორტო რეისი - ნედლეულის შემოტანისთვის, ხოლო 10-12 რეისი მზა პროდუქციის გასატანად. აღნიშნული მარშრუტი არ გადის დასახლებულ ტერიტორიას, ხოლო მისასვლელ გზასთან ახლოს განთავსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების სახით გათვალისწინებულია სიჩქარის შეზღუდვა, სატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური გამართულობის კონტროლი, ღამის საათებში ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების აკრძალვას. გარდა ამისა, დოკუმენტაციის თანახმად, სატრანსპორტო საშუალებების საბურავები, საწარმოო ტერიტორიის დატოვებამდე გასუფთავდება მტვრისგან. ხოლო არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ამტვერიანების შემთხვევაში გათვალისწინებულია მისასვლელი 250 მეტრიანი გზის მორწყვა.

გზშ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: არაორგანული მტვერი (**TSP 20%-მდე SiO₂**) და ცემენტის მტვერი (**TSP 70-20% SiO₂**). გზშ-ის ანგარიშში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 17 სტაციონარული წყარო, მათ შორის 10 ორგანიზებული და 7 არაორგანიზებული. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამრეწველო პროცესში წარმოქმნილი მტვრის გასაწმენდად, საწარმოში არსებული ორივე წისქვილი აღჭურვილია ორსაფეხურიანი აირგამწმენდი სისტემით: I საფეხური - ციკლონი 70%-იანი ეფექტურობით და II საფეხური, სახელოებიანი ფილტრები 99.9% - იანი ეფექტურობით. მტვერდამჭერებში დაჭერილი მტვერი დაბრუნდება ცემენტის ელევატორში, ხოლო, გაწმენდის შემდეგ დარჩენილი მტვერი გაიფრქვევა ატმოსფეროში 10 მეტრი სიმაღლის მქონე მილით, რომლის დიამეტრია 0.7 მეტრი. ცემენტის სილოსები, ასევე, აღჭურვილი იქნება მაღალი ეფექტურობის მქონე SILOTOP® zero-ს ფირმის სახელოებიანი ფილტრებით, რომელთა ეფექტურობა შეადგენს 99.9%-ის. დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში არსებული ორივე (ახალი და არსებული) წისქვილი აღჭურვილია PFM 20 ტიპის უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემით, რომელიც დამონტაჟდა წისქვილის გამფრქვევ მილზე. გარდა ამისა, საწარმოში დამონტაჟებულია ცემენტის დასაფასობელი VBF მოდელის დანადგარი, რომელზეც ცემენტის მიწოდება ხორციელდება სილოსიდან მიმღები ბუნკერის მეშვეობით, დახურული სისტემის გავლით. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ინტენსივობები და, ასევე, ფონური მახასიათებლები ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას (მაქსიმალური კონცენტრაცია ცემენტის მტვერი, ზდკ-ს წილი 0,62 მგ/მ³) ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (600 მ) მიმართებით და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად. გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს საწარმოში არსებული დანადგარ-მექანიზმები და საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა. დოკუმენტაციის მიხედვით, ხმაურის გაანგარიშება შესრულებულია ყველაზე ცუდი სცენარით, მაქსიმალური ხმაურის წარმოქმნის პირობებში, ხმაურის ჯამური დონე საპროექტო ტერიტორიაზე 115 დბა-ს, ხოლო უახლოეს მოსახლემდე 24.44 დბა-ს შეადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ხმაურის წარმომქმნელი დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობებში, რაც ხმაურის საპროექტო ტერიტორიაზე შენობის გარეთ გავრცელებას ამცირებს 30%-ით, დაახლოებით 80.5 დბა-მდე. გასათვალისწინებელია, რომ ხმაურის წყაროსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის (600მ) არსებობს ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ხმაურის შემამცირებელ ბარიერს. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ტექნოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე ცემენტის წარმოებაში წყლის გამოყენება ხორციელდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნით წყალდება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის ორმოში, რომელიც პერიოდულად იცლება, სასენიზაციო მანქანის საშუალებით. სანიაღვრე წყლები წარმოიქმნება საწარმოს ეზოს ტერიტორიაზე ნალექების შედეგად. ვინაიდან, საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების რისკი მცირეა. აღნიშნული წყლები ხვდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ ადგილას, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. შერეული მუნიციპალური ნარჩენები გროვდება ტერიტორიაზე განთავსებულ სპეციალურ კონტეინერში, ხოლო შემდგომ განთავსდება მარნეულის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი სხვა არასახიფათო ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მტვერდამჭერ სისტემებში ფილტრებზე დაჭერილი ცემენტის მტვერი ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მიმდებარედ 500 მ-იანი რადიუსის მანძილზე ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტი არ ფიქსირდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 27 ივლისს, 13:00 საათზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. მარაბდის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „თი ეს გრუპის“, გზმ-ის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა მიმდებარე ტერიტორიების მტვერით დაბინძურების საკითხსა და დაინტერესდა საწარმოში მტვერდამჭერი სისტემის ფუნქციონირებით. გზმ-ის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის განმარტებით, საწარმოში არსებულ სილოსებზე დამონტაჟდა 99.9% ეფექტურობის მქონე ფილტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მტვერის მაქსიმალურ დაჭერას. ამასთან, აღინიშნა, რომ საწარმოში

დამონტაჟებულია უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში აკონტროლებენ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ნორმას. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული პერიოდის წინ, ღამის საათებში, მოსახლეობის მიერ დაფიქსირებულ იქნა საწარმოს ტერიტორიიდან ატმოსფერულ ჰაერში დიდი რაოდენობით მტვრის გაფრქვევის ფაქტი, რაც შპს „თი ეს გრუპის“ წარმომადგენლის განმარტებით, გამოწვეული იყო დაზიანებული ფილტრით, რომლის შეცვლა და პრობლემის აღმოფხვრაც მალევე განხორციელდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ისაუბრა დასახლებულ პუნქტში ვიბრაციით გამოწვეულ ზემოქმედებაზე, რასთან დაკავშირებითაც გზშ-ის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საწარმოში ვიბრაციის გამომწვევი წყაროები და დანადგარები არ არის, ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან ინსპექტირებისას ვიბრაცია ნორმის ფარგლებში იყო. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. მარაბდაში, შპს „თი ეს გრუპის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. შპს „თი ეს გრუპმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
3. შპს „თი ეს გრუპმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
4. შპს „თი ეს გრუპმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე და 500 მეტრიან რადიუსში (მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით). მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატები. საქმიანობა განხორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

5. შპს „თი ეს გრუპმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP) უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე და 500 მეტრიან რადიუსში საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ და შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში განსახილველად 6 თვეში ერთხელ;
6. შპს „თი ეს გრუპმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები;
7. შპს „თი ეს გრუპმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ტექნოლოგიაში გამოყენებული დანამატების (მათ შორის წიდის) შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა (მათ შორის წარმოშობის, რაოდენობის მითითებით);
8. შპს „თი ეს გრუპმა“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
9. შპს „თი ეს გრუპმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე/პერიმეტრზე გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა;
10. შპს „თი ეს გრუპმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარებისა და აირმტვერდამჭერი სისტემის გამართულობაზე მუდმივი მონიტორინგი;
11. შპს „თი ეს გრუპმა“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
12. შპს „თი ეს გრუპმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თი ეს გრუპს“ და **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს**;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თი ეს გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

